ШПС საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის

დირექტორის ბრძანება

№ 00006372

25/06/2024

ШПС საზოგადობრივი კოლეჯი ამაგში ვიდეომონიტორინგისა და აუდიომონიტორინგის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის და ШПС საზოგადობრივი კოლეჯი ამაგისწესდების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს „ШПС საზოგადობრივი კოლეჯი ამაგშივიდეომონიტორინგისა და აუდიომონიტორინგის განხორციელების წესი“ ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. ეს ბრძანება ძალაშია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

კერძო კოლეჯების ასოციაცია
ШПС საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი
დირექტორი
სუხიშვილი სოფიო

დანართი

შპს საზოგადობრივი კოლეჯი ამაგში ვიდეომონიტორინგისა და აუდიომონიტორინგის განხორციელების წესი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. შპს საზოგადობრივი კოლეჯი ამაგში (შემდგომ - კოლეჯი) ვიდეომონიტორინგისა და აუდიომონიტორინგის განხორციელების წესი (შემდგომ - წესი) განსაზღვრავს კოლეჯში ვიდეო-, აუდიომონიტორინგის მიზანსა და მოცულობას, ვიდეო-, აუდიომონიტორინგის ხანგრძლივობასა და ვიდეო-, აუდიოჩანაწერის შენახვის ვადას, ჩანაწერზე წვდომის, მისი შენახვისა და განადგურების წესსა და პირობებს, მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის მექანიზმებს, აგრეთვე ვიდეო-, აუდიომონიტორინგის განხორციელებასთან და პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

2. ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მნიშვნელობა.

მუხლი 2. ვიდეომონიტორინგისა და აუდიომონიტორინგის მიზანი

1. კოლეჯში ვიდეომონიტორინგის განხორციელების მიზანს წარმოადგენს კოლეჯის პროფესიული სტუდენტების/მსმენელების, კოლეჯში დასაქმებულ და სხვა პირთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა, საკუთრებისა და სხვა ლეგიტიმური ინტერესების დაცვა.

2. საჭიროების შემთხვევაში, აუდიომონიტორინგი შესაძლებელია განხორციელდეს საოქმო ჩანაწერის საწარმოებლად. საჭიროების შემთხვევაში, კოლეჯის ლეგიტიმური ინტერესის - მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, შესაძლებელია განხორციელდეს კოლეჯის ცხელ ხაზზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შემოსული ზარების აუდიომონიტორინგი.

მუხლი 3. ვიდეომონიტორინგისა და აუდიომონიტორინგის განხორციელების პრინციპები

1. ვიდეო-, აუდიომონიტორინგის განხორციელებისას დაცული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მონაცემთა დამუშავების პრინციპები.

2. კოლეჯში ვიდეო-, აუდიომონიტორინგი შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ ამ წესით განსაზღვრული მიზნით, მიუკერძოებლად, ინფორმაციის უსაფრთხოებისა და კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვით.

3. პირი, რომლის პერსონალური მონაცემებიც მუშავდება, სარგებლობს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მონაცემთა სუბიექტის უფლებებითა და ამავე კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის მექანიზმებით.

მუხლი 4. ვიდეო-, აუდიომონიტორინგის განხორციელებასა და ვიდეო-, აუდიოჩანაწერის

წვდომაზე უფლებამოსილი პირები

1. კოლეჯში ვიდეომონიტორინგის შედეგად მიღებულ მონაცემთა წვდომაზე (ნახვა, გადახვევა, გადმოწერა ან/და დაარქივება) უფლებამოსილ პირს წარმოადგენს კოლეჯის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირი, რომელსაც აგრეთვე აქვს ვიდეომონიტორინგის რეალურ დროში განხორციელების უფლებამოსილება.

2. საოქმო ჩანაწერის საწარმოებლად აუდიომონიტორინგის განხორციელების შემთხვევაში, აუდიომონიტორინგის განხორციელებას უზრუნველყოფს შესაბამისი სამართლებრივი აქტით განსაზღვრული (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ოქმის შედგენისთვის პასუხისმგებელი პირი, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში, ამ მიზნით განსაზღვრული თანამშრომელი. ოქმის შედგენისთვის პასუხისმგებელი პირი უზრუნველყოფს აუდიომონიტორინგის შედეგად მიღებულ მონაცემებზე ოქმის გაცნობის უფლების მქონე პირების წვდომას.

3. კოლეჯის ცხელ ხაზზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შემოსული ზარების აუდიომონიტორინგის განხორციელების შემთხვევაში, აუდიომონიტორინგის შედეგად მიღებულ მონაცემთა წვდომაზე (ნახვა, გადახვევა, გადმოწერა ან/და დაარქივება) უფლებამოსილ პირს წარმოადგენს კოლეჯის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირი.

მუხლი 5. ვიდეომონიტორინგის განხორციელების პროცესი

1. კოლეჯში ვიდეომონიტორინგი მიმდინარეობს 24 საათის განმავლობაში, კოლეჯის სარგებლობაში არსებული შენობის შიდა სივრცესა და გარე პერიმეტრზე. დაუშვებელია ვიდეომონიტორინგის განხორციელება გამოსაცვლელ ოთახებსა და ჰიგიენისთვის განკუთვნილ ადგილებში, აგრეთვე ისეთ სივრცეში, სადაც სუბიექტს პირადი ცხოვრების დაცულობის გონივრული მოლოდინი აქვს ან/და ვიდეომონიტორინგის განხორციელება საყოველთაოდ აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს ეწინააღმდეგება.

2. კოლეჯი უზრუნველყოფს ვიდეომონიტორინგის მიმდინარეობის შესახებ გამაფრთხილებელი ნიშნების თვალსაჩინოდ განთავსებას. გამაფრთხილებელი ნიშანი უნდა შეიცავდეს შესაბამის წარწერას, მარტივად აღქმად გამოსახულებას ვიდეომონიტორინგის მიმდინარეობის თაობაზე და დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის სახელწოდებასა და მის საკონტაქტო მონაცემებს.

3. დასაქმებული პირის სამუშაო პროცესის/სივრცის ვიდეომონიტორინგი დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, თუ ამ წესით განსაზღვრული მიზნების მიღწევა სხვა საშუალებით შეუძლებელია ან დაკავშირებულია არაპროპორციულად დიდ ძალისხმევასთან. სამუშაო სივრცეში/სამუშაო პროცესის ვიდეომონიტორინგის განხორციელების შემთხვევაში, დასაქმებული პირის წერილობით გაფრთხილებას ვიდეომონიტორინგის კონკრეტული მიზნის/მიზნების შესახებ უზრუნველყოფს კოლეჯი. წერილობითი გაფრთხილების დამადასტურებელი დოკუმენტი ინახება დასაქმებული პირის კოლეჯში მუშაობის მთელი პერიოდის განმავლობაში.

მუხლი 6. აუდიომონიტორინგის განხორციელების პროცესი

1. საოქმო ჩანაწერის საწარმოებლად აუდიომონიტორინგის განხორციელების შემთხვევაში, ამ წესის შესაბამისად განსაზღვრული ოქმის შედგენისთვის პასუხისმგებელი პირი უზრუნველყოფს წინასწარ ან აუდიომონიტორინგის დაწყებისთანავე მონაცემთა სუბიექტის/სუბიექტების გაფრთხილებას აუდიომონიტორინგის განხორციელების შესახებ და განუმარტავს უარის თქმის თაობაზე მის/მათ უფლებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

2. იმ შემთხვევაში, თუ მონაცემთა სუბიექტის/სუბიექტების ინფორმირება აუდიომონიტორინგის შესახებ ხდება გამაფრთხილებელი ნიშნით, გამაფრთხილებელი ნიშანი თვალსაჩინოდ უნდა განთავსდეს და შეიცავდეს შესაბამის წარწერას, მარტივად აღქმად გამოსახულებას აუდიომონიტორინგის მიმდინარეობის შესახებ და დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის სახელწოდებასა და მის საკონტაქტო მონაცემებს. გამაფრთხილებელი ნიშანი შესაბამის სივრცეში განთავსებული უნდა იყოს მხოლოდ იმ დროის განმავლობაში, როდესაც მიმდინარეობს აუდიომონიტორინგი საოქმო ჩანაწერის საწარმოებლად.

3. კოლეჯის ცხელ ხაზზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შემოსული ზარების აუდიომონიტორინგის შემთხვევაში, აუდიომონიტორინგის დაწყებამდე ან დაწყებისთანავე, ავტომოპასუხის მიერ უნდა განხორციელდეს მონაცემთა სუბიექტის გაფრთხილება აუდიომონიტორინგის განხორციელების შესახებ. ამ მოთხოვნის შესრულებას უზრუნველყოფს კოლეჯის დირექტორის ბრძანებით გამოყოფილი პირი.

4. საოქმო ჩანაწერის საწარმოებლად, აუდიომონიტორინგთან ერთად ვიდეომონიტორინგის განხორციელება დასაშვებია საჯარო ან/და სხვა ლეგიტიმური ინტერესის სფეროსთვის მიკუთვნებული ამოცანების შესასრულებლად, თუ ვიდეომონიტორინგის განხორციელება მონაცემთა დამუშავების მიზნის ადეკვატური და პროპორციული საშუალებაა.

მუხლი 7. ვიდეო-, აუდიომონიტორინგის განხორციელებასა და ვიდეო-, აუდიოჩანაწერის წვდომასთან დაკავშირებული ვალდებულებები

1. ამ წესის შესაბამისად განსაზღვრული ვიდეო-, აუდიომონიტორინგის განხორციელებასა და ვიდეო-, აუდიომონიტორინგის შედეგად მიღებულ მონაცემთა წვდომაზე უფლებამოსილი პირები ვალდებული არიან ვიდეო-, აუდიომონიტორინგი განახორციელონ მხოლოდ ამ წესით განსაზღვრული მიზნით, მიუკერძოებლად და დაიცვან ინფორმაციის უსაფრთხოება და კონფიდენციალურობა.

2. ვიდეო-, აუდიომონიტორინგის სისტემა და ვიდეო-, აუდიოჩანაწერები დაცული უნდა იყოს არამართლზომიერი ხელყოფისა და გამოყენებისგან.

3. ვიდეო-, აუდიომონიტორინგის შედეგად მიღებულ მონაცემებზე წვდომა ამ წესით განსაზღვრული სუბიექტების გარდა, აგრეთვე სამართალდამცავი და სხვა უფლებამოსილი ორგანოებისთვის ვიდეო-, აუდიოჩანაწერის გადაცემა დასაშვებია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში და დადგენილი წესის შესაბამისად. ვიდეო-, აუდიოჩანაწერის გადაცემა ხორციელდება ოფიციალური მომართვის საფუძველზე და რეგისტრირდება დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში.

4. სავალდებულოა ვიდეო-, აუდიოჩანაწერებზე წვდომის თითოეული შემთხვევის აღრიცხვა, მათ შორის, წვდომის დროისა და მომხმარებლის სახელის აღრიცხვა, რომელიც წვდომის განმახორციელებელი პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობას იძლევა. ვიდეო-, აუდიომონიტორინგის შედეგად მიღებულ მონაცემთა წვდომაზე უფლებამოსილი პირი აღრიცხავს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ვიდეო-, აუდიოჩანაწერის გადაცემის თაობაზე ინფორმაციას.

5. საოქმო ჩანაწერის საწარმოებლად აუდიომონიტორინგის განხორციელების შემთხვევაში, ამ წესით განსაზღვრული ოქმის შედგენისთვის პასუხისმგებელი პირი ახორციელებს აუდიოჩანაწერებზე წვდომის თითოეული შემთხვევის აღრიცხვას, გარდა იმ პირთა წვდომისა რომლებსაც მინიჭებული აქვთ ოქმის გაცნობის უფლებამოსილება.

6. ვიდეო-, აუდიომონიტორინგის შედეგად მიღებულ მონაცემთა წვდომაზე უფლებამოსილი პირი ვალდებულია ვიდეო-, აუდიომონიტორინგის შედეგად გამოვლენილი სავარაუდო სამართალდარღვევის (მათ შორის, დანაშაულის) შემთხვევაში მოახდინოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი რეაგირება.

7. მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევა, რომელიც გამოიწვევს მონაცემების არამართლზომიერ ან შემთხვევით დაზიანებას, დაკარგვას, აგრეთვე უნებართვო გამჟღავნებას, განადგურებას, შეცვლას, მათზე წვდომას, მათ შეგროვებას/მოპოვებას ან სხვაგვარ უნებართვო დამუშავებას, წარმოადგენს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ინციდენტს და რეაგირება უნდა განხორციელდეს ამავე კანონითა და სხვა სამართლებრივი აქტებით დადგენილი პროცედურის შესაბამისად.

მუხლი 8. ვიდეო-, აუდიოჩანაწერების შენახვისა და განადგურების წესი და პირობები

1. ვიდეომონიტორინგის განხორციელებისას ინფორმაციის ჩაწერა მიმდინარეობს ავტომატურ რეჟიმში. ჩაწერილი მონაცემები ინახება კოლეჯის კუთვნილ სერვერზე 30 კალენდარული დღის ვადით, რის შემდეგაც ჩანაწერი ავტომატურად იშლება ვიდეომონიტორინგის სისტემის მიერ.

2. საოქმო ჩანაწერის საწარმოებლად აუდიომონიტორინგის განხორციელების შემთხვევაში, აუდიოჩანაწერი, ხოლო ამ წესის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, აგრეთვე ვიდეოჩანაწერი, ინახება 30 კალენდარული დღის განმავლობაში, რის შემდეგაც ჩანაწერები უნდა წაიშალოს. ჩანაწერების დაარქივება/განადგურება ხდება ამ წესის შესაბამისად.

3. კოლეჯის ცხელ ხაზზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შემოსული ზარების აუდიომონიტორინგის შემთხვევაში, ინფორმაციის ჩაწერა მიმდინარეობს ავტომატურ რეჟიმში. ჩაწერილი მონაცემები ინახება კოლეჯის კუთვნილ სერვერზე 3 თვის განმავლობაში, რის შემდეგაც ჩანაწერი ავტომატურად იშლება აუდიომონიტორინგის სისტემის მიერ.

4. ჩამწერ მოწყობილობაზე აკრძალულია ნებისმიერი ელექტრონული აპარატის მიერთება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მონაცემთა წვდომაზე უფლებამოსილი პირის მიერ, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სპეციალური მიზნებისთვის, ხდება ჩანაწერის გადმოწერა/დაარქივება, ან ტექნიკური ჯგუფის მიერ ხორციელდება შესაბამისი სამუშაოები.

5. ვიდეო-, აუდიომონიტორინგის შედეგად სავარაუდო სამართალდარღვევის (მათ შორის, დანაშაულის) აღმოჩენის შემთხვევაში, დასაშვებია ვიდეო-, აუდიოჩანაწერის დაარქივება.

6. მონაცემების დაარქივებისას ვიდეო-, აუდიომონიტორინგის შედეგად მიღებულ მონაცემთა წვდომაზე უფლებამოსილი პირი ადგენს ოქმს, რომელშიც უნდა მიეთითოს ოქმის შემდგენელი პირის ვინაობა და თანამდებობა, დაარქივების დრო, დაარქივებული მონაცემების შენახვის ადგილი, ინფორმაცია დაარქივებული მონაცემების შესახებ (დაარქივების საფუძველი, დაარქივებული ვიდეო-, აუდიოჩანაწერის დაწყების/დასრულების დრო და ხანგრძლივობა), აგრეთვე ოქმის შედგენის თარიღი და ხელმოწერა.

7. დაარქივებული მონაცემები ინახება იმ ვადით, რაც საჭიროა დაარქივების საფუძვლიდან გამომდინარე, კანონიერი მიზნის მისაღწევად, რის შემდეგაც დაარქივებული მონაცემები უნდა განადგურდეს.

8. მონაცემების განადგურებისას, ვიდეო-, აუდიომონიტორინგის შედეგად მიღებულ მონაცემთა წვდომაზე უფლებამოსილი პირის მიერ შესაბამის ელექტრონულ მატარებელზე შენახული დაარქივებული მონაცემები უნდა წაიშალოს სისტემიდან, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მონაცემები ინახება ისეთ ელექტრონულ მატარებელზე რომლის წაშლაც შეუძლებელია, უნდა განხორციელდეს მათი განადგურება, ისე რომ შეუძლებელი იყოს მისი აღდგენა.

9. მონაცემთა წვდომაზე უფლებამოსილი პირის მიერ დაარქივებული მონაცემების წაშლის/განადგურების შესახებ დგება ოქმი, რომელშიც უნდა მიეთითოს ოქმის შემდგენელი პირის ვინაობა და თანამდებობა, დაარქივებული მონაცემების განადგურების დრო, სად და რა ფორმით/საშუალებით განხორციელდება დაარქივებული მონაცემების განადგურება, ინფორმაცია განადგურებული მონაცემების შესახებ (განადგურების საფუძველი, ვიდეო-, აუდიოჩანაწერის დაწყების/დასრულების დრო და ხანგრძლივობა), აგრეთვე ოქმის შედგენის თარიღი და ხელმოწერა.